ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01183253716**
თარიღი: **21/11/2018**
პინი: **2063**

ადრესატი: გიორგი გოშხოთელიანი
პირადი ნომერი: 01026007472
მისამართი: ქ. თბილისი, ს. ცინცაძის ქ. #83, ბ. 67

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N19/011828137l3-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების ერთი ეგზემპლარი.

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 3-19/011828137 13-17
"19" 11 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ისანი, მოსკოვის გამზირი №31-ში (საკ. კოდი 01.17.11.006.034) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ავტოგასამართი კომპლექსი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3401680 17.07.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი ისანი, მოსკოვის გამზირი №31-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

"6-ს" და "5-6" მონაკვეთებში გაუქმებულია შენობა. "ი-კ" მონაკვეთში გაუქმებულია გამწვანება, დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედები და ვიტრაჟი, მოწყობილია ტექნიკური ორმო. მოწყობილია შიდა ფართი, ხოლო აღნიშნულის ხარჯზე გაზრდილია შენობის გაბარიტი კერძოდ ორი ცალკემდგომი შენობის ნაცვლად მოწყობილია ერთი მთლიანი. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების მდებარეობა და რაოდენობა. გაუქმებულია ბოძკინტები. შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტები და ვიზუალი. შეცვლილია სარეკრეაციო ზონის კეთილმოწყობა. გაზრდილია წყალშემკრები მილების რაოდენობა. ტერიტორიაზე მოწყობილი ღობე არ შეესაბამება საპროექტოს ნაწილობრივ შეცვლილია ღობის ვიზუალი და მასალა. "6" ღერძის მიმდებარედ შეცვლილია ლითონის ღობის ვიზუალი და სიმაღლე. გაზრდილია წყალშემკრები მილების რაოდენობა.

შემცირებულია სახანძრო ჰიდრანტების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია შენობა-ნაგებობების ღებვის ფერი. შეცვლილია სარეკლამო ბილბორდის ფორმა. შეცვლილია მოსაცდელის მდებარეობა და შეფუთულია მსუბუქი კონსტრუქციის მასალით. ტერიტორიაზე ნაწილობრივ შეცვლილია ტექნიკური დანადგარების ფორმა გაბარიტი და ვიზუალი.

ავტოგასამართი: შეცვლილა გადახურვის ფორმა. საწვავ სარიგებელ სვეტებთან არსებული კოლონების შეფუთულია მსუბუქი მასალით. შეცვლილა ბაქნის ფორმა და გაბარიტი. შემცირებულია გადახურვის სიმაღლე. შეცვლილია გადახურვის ფორმა.

ფასადი "თ-ა" ღერძში: "ე-დ" მონაკვეთში გაუქმებულია ლითონის ღობე.

"1/1-2/2" ღერძებში შეცვლილია სავაჭრო ფართის გაბარიტი. ვიტრაჟების ვიზუალი და გაბარიტი.

"მ-ზ"ფასადი: "მ" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია კარი.

შეცვლილია მიწის საკადასტრო კოდი და ფართი.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის

პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ახალი ჯგუფი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი ისანი, მოსკოვის გამზირი №31-ში (საკ. კოდი 01.17.11.006.034) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ავტოგასამართი კომპლექსი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01182813713-17 08.10.2018წ. განცხადება.

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე